პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ივნისი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 142 (14746)

გუშინ, 17 ივნისს, თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

ბუნების დაცვა საერთო სახალხო ამოცანაა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესია

17 ივნისის დილის სხდომა

17 ივნისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი. დღეს აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის საუკეთესო და საამაყო ადამიანები — საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლები — მანქანათმშენებლები, მეტალურგები, ენერგეტიკოსები, მეშახტეები, მაღაროელები, მშენებლები, ფეიქრები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებისა და პლანტაციების მუშაოელები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები — ისინი, ვისაც საქართველოს მშრომელებმა მიანდეს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

ბალხის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ახრულებენ ამომრჩეველთა განაწესს, საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის განსახილველად შეიტანეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ეხება რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს.

ახლანდელ სესიას საკუთარი, განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი აქვს: იგი მიმდინარეობს ლენინის საიუბილეო წელს, როცა ყველა საბჭოთა ადამიანმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს ისტორიული თარიღი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. წელსვე გაიმართება პარტიის მორიგი XXIV ყრილობა, რომელმაც უნდა მიღოს ახალი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ლენინის იუბილეს ხალხში უდიდესი ენთუზიაზმი, შემოქმედებითი ძალების ახალი აღმავლობა გამოიწვია. ლენინური დამკვრელური ვახტი გრძელდება. რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, კარგად ესმით, რომ მიმდინარე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად შესრულებით ახალ დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ხალხი მთლიანად და ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც აღფრთოვანებით მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ამით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხმა მისცეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამ დღეებში რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ და შემოქმედებითს ორგანიზაციებში ფართოვდება და ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები, კულტურის მოღვაწენი ავლენენ საზოგადოებრივი წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს და აშრავლებენ თავიანთ მეცადინეობას, რათა ახალი მიღწევებით შეეგებონ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ზუსტად დილის 10 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდასთან არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ი. გ. ამირბა, რ. ა. ჯაფარიძე, ლ. ა. ხოზრევანიძე.

მთავრობის ლოუებში არიან ამხანაგები ვ. პ. მეძავანაძე, ვ. დ. ჯაფარიშვილი, ვ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუკვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. ნ. ბრიგალაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დადგინა: „ცნობილ იქნეს სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 საარჩევნო ოლქში 1970 წლის 15 მარტს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ივანე ვასილის-ძე ბაიდოშვილის და ზნაურის რაიონის ავნევის № 398 საარჩევნო ოლქში 1970 წლის 15 მარტს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პელაგია ილიას ასულ კობალაძის რწმუნებანი".

ხანხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII სესიამ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოუვანილ იქნას ნ. ჯ. ზონია და ჩამოერთვას მას დეპუტატის რწმუნებანი.

მტკიცდება სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში.

2. საქართველოს სსრ საქონელი და ხორცის კოლექსის დამკიცება.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სესიის მუშაობის წესრიგი მტკიცდება ერთხმად.

სიტყვა მოხსენებისათვის „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში" ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ ზ. ბ. ბელდიაშვილს.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ნ. საბაშვილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ე. ნოინეშვილის თანამოხსენებანი.

მოხსენებისა და თანამოხსენებების გამო გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები თ. ი. მოსაშვილი (ჯაფარიძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ბ. ვ. შინკუბა (ქობულეთის საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), დ. დ. დიასამიძე (ბახინჯაურის საარჩევნო ოლქი, ბათუმის რაიონი), უ. მ. ხანიკაევი (ჯავის საარჩევნო ოლქი, ჯავის რაიონი), დ. დ. ბაპასკირი (ძერეინსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), ვ. ს. ლოგინოვი (ლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

დეპუტატებმა გამოიჩინეს ნამდვილად სახელმწიფოებრივი მიდგომა განსახილველი პრობლემებისადმი. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ და გონივრულ გამოყენებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. მიწის — ხალხის მთავარი სიმდიდრის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება, აღნიშნეს დეპუტატებმა, სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ყველა ბუნებრივი სიმდიდრის და, კერძოდ, მიწის სწორი, რაც შეიძლება მიზანშეწონილი გამოყენება, მისი დაცვა, ნიადაგის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება, — აღნიშნეს დეპუტატებმა, — ნამდვილად საერთო-სახალხო ამოცანაა.

ბუნებრივ სიმდიდრეთა, მიწის რაც შეიძლება სრული და ეფექტიანი გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერება. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით უფრო ფართო მასშტაბით წარმოებდეს. დეპუტატთა საქმიანი წინადადებანი და შენიშვნები, მოქმედების ფართო პროგრამა, რომელიც მათ წამოაყენეს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი გამრავლების საკითხების წარმატებით გადაწყვეტას.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის დილის სხდომა.

17 ივნისის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საღამოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებისა და თანამოხსენებათა განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ:

დეპუტატი შ. პ. ჯობლიძე, (ცაცხის საარჩევნო ოლქი, ორჯონიკიძის რაიონი), თბილისის ტყის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ზ. გულისაშვილი. დეპუტატები: მ. ბ. ღვინჯილია (ნაკალაქევის საარჩევნო ოლქი, ცხაკაიას რაიონი), ნ. ნ. ცოფიაშვილი (სასოფლო საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), რ. ი. ლაღიძე (ფალიაშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ბ. ვ. კუხიანიძე (ბორჯომ-ბაღის საარჩევნო ოლქი, ბორჯომის რაიონი), ძ. მ. ლომაძე (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყიბული), ძ. ხ. კილასონია (ხჯიჯოს საარჩევნო ოლქი, ხობის რაიონი), ა. ბ. გოგორიშვილი (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი).

მიმდინარეობს დიდი, შინაარსიანი სჯა-ბაასი საქართველოს შესანიშნავი ბუნების დაცვის, ხალხის უდიდესი სიმდიდრისადმი — მიწისადმი მზრუნველი დამოკიდებულების საარსებო პრობლემებზე. დეპუტატებმა აღნიშნეს დიდი მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს ამ დარგში. და ყურადღება გამამახვილეს არსებულ ნაკლოვანებებზე. როგორც აღინიშნა, ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის დამანგრეველი მოქმედების საფრთხეს, საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმისათვის, რომ წარმოებაში დანერგონ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და პრაქტიკით შემოწმებული სისტემები მიწათმოქმედებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავიცვათ მიწა და ნაოესები ეროზიისაგან. ყოველთვის არ ითვალისწინებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა ტუსაცავი ზოლების გაშენება. სერიოზული დარღვევებია ტყის ექსპლოატაციის საქმეში, ხშირია ტყის მტაცებლურად გაჩეხვის შემთხვევები, რის შედეგადაც ტყე კარგავს თავის სასარგებლო თვისებებს. დეპუტატებმა ღრმად, საქმის ცოდნით განიხილეს სესიის დღის წესრიგში დასმული საკითხი და დასახეს არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

18 ივნისს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქ-დესი).

თბილისი. 1970 წ. 17 ივნისი. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის სხდომა.

ფოტო: ლ. ბინხბურგისა.

საკდესის ცნობა

„სოიუზ-9" კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი მეთექვსმეტე დღეა იმყოფება ორბიტულ ფრენაში. 17 ივნისს 13 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდმა 253-ჯერ შამოუარა დედამიწას. კოსმოსურ სივრცეში ანდრიან ნიკოლაევისა და ვიტალი სევასტიანოვის ყოფნის ხანგრძლივობამ ამ დროისათვის 375 საათი შეადგინა.

კოსმოსში მეთვრამეტე სამუშაო დღე დამთავრდა 17 ივნისს დილის 3 საათზე. ამ დღის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტებმა შეასრულეს მეცნიერული და სამედიცინო ექსპერიმენტები.

დღის განმავლობაში ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი აკვირდებოდნენ დედამიწის ზედაპირს და აწარმოებდნენ დრუბლთა ზოგიერთი წარმონაქმნის და ბეოლოგიური თვალსაზრისით დამახასიათებელი რელიეფის შესწავლა. ფოტოგრაფირებას.

რადიოკავშირის სეანსებში კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და სევასტიანოვმა ილაპარაკეს დაკვირვებათა შედეგებზე. კარგად ჩანდა ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და სანაპირო ხაზი ყირიმი და კავკასიის შავი ზღვის სანაპირო, მდინარე ვოლგის დელტა. დასავლეთ ციმბირის რაიონები. კოსმონავტებმა გარკვევით დაინახეს ამ რაიონებში მდებარე ქალაქები: ათენი, სტამბოული, იალტა, სოჭი, ასტრახანი და სხვები.

როცა ყაზახეთსა და დასავლეთ ციმბირს გადაფარინეს, ნიკოლაევი და სევასტიანოვი იუწყებოდნენ ნოვოსიბირსკის რაიონში, დრუბლის სფარის სიმკვრივის თანდათან გადიდებას და ციკლონის წარმოქმნას. ტერმინატორს რომ გადაეარეს, კოსმონავტებმა დედამიწის ჩრდილოეთ მხარეზე გარკვევით დაინახეს დრუბლის წარმონაქმნები მთვარის შუქზე.

სამუშაო დღის დამდეგსა და დამლევს ანდრიან ნიკოლაევმა და ვიტალი სევასტიანოვმა შეასრულეს სამედიცინო ექსპერიმენტები, კერძოდ, დინამომეტრის საშუალებით გაზომეს ხელების კუნთების ძალა, ზამბარის დინამოგრაფის გამოყენებით კი კოსმონავტებმა გამოიკვლიეს კუნთსახსრების მგრძნობიარობა.

დღის განმავლობაში კოსმონავტებმა შეამოწმეს ერთმანეთის ჯანმრთელობა, გაზომეს არტერიული წნევა, აღრიცხეს მაჯისცემა და სუნთქვა, ტელემეტრიის მონაცემების კოსმონავტების მოხსენებათა მიხედვით, ამ ფიზიოლოგიური მაჩვენებლების სიდიდემ შეადგინა: ნიკოლაევს არტერიული წნევა იყო ვერცხლისწყლის სვეტის 125 და 80, სევასტიანოვისა — 120 და 80 მილიმეტრი, შესაბამისად მაჯისცემის სიხშირე წუთში — 73 და 66, სუნთქვის სიხშირე წუთში 14 და 16. თექვსმეტი დღის ფრენის დროს ორივე კოსმონავტის შრომისუნარიანობა კეთილინებულად მაღალ დონეზეა. ისინი თავს კარგად გრძნობენ.

17 ივნისს 11 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო ანდრიან ნიკოლაევისა და ვიტალი სევასტიანოვის მორიგი სამუშაო დღე. რადიოკავშირის პირველ სეანსში ხომალდის მეთაურმა განაცხადა, რომ კოსმონავტები დასუნების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ, ეკიპაჟი შეუდგა დღის პროგრამის შესრულებას.

„სოიუზ-9" კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მოსკოვში კავშირების სახლში 17 ივნისს ვ. ვ. ერმილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის დასკვნითი სხდომა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა თავისი მუშაობის შედეგები და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს არჩევნების საქმის წარმოება სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიებს.

კომისიამ განიხილა აგრეთვე თავისი საქმიანობის დამთავრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ამით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

სსრ კავშირ-შვეიცარიის მოლაპარაკება

17 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და შვეიცარიის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს შეხვედრა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირში.

ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებს შორის გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება როგორც თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებზე, ისე საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე. საუბარი მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით. (საკდესი).

„ინლეგმაშ-70"-ის წარმატება

16 ივნისს წარმატებით დამთავრა მუშაობა საერთაშორისო სპეციალიზებულმა გამოფენამ „სრულყოფილი მოწყობილობა და ახალი ტექნოლოგიური პროცესები მსუბუქ მრეწველობაში" — „ინლეგმაშ-70"-ზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვის სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში 1970 წლის 2 ივნისიდან.

მანქანათმშენებლობის ამ უდიდეს დათვალიერებაში მონაწილეობდა მსოფლიოს 22 ქვეყნის 700-ზე მეტი ფირმა და ორგანიზაცია.

„ინლეგმაშ-70"-ის საბჭოთა განყოფილება ერთ-ერთი უდიდესი იყო გამოფენაზე. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და სასაღლო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მიწინაევ გამოცდილების ჩვენებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ოცდაათი სამინისტრო და უწყება, 66 ქალაქის 147 საწარმო, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია.

გამოფენის მუშაობის პერიოდში კონტრაქტები დაიდო სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებს შორის მანქანებისა და მოწყობილობის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

„ინლეგმაშ-70"-ზე გამოფენის მუშაობის დროს მის ეკსპოზიციას გაეცნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ტ. მაზუროვი, ძ. ფ. პატაშევი, ვ. ს. სოლოვიოვი.

საბჭოთა ეკსპოზიციის წარმატებაზე მეტყველებს უამრავი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნებში. ძირითადად, ეს არის შთაბეჭდილებანი სსრ კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების სულ სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული სპეციალისტებისა, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს „ინლეგმაშ-70" გამოფენისადმი. (საკდესი).

შეხვედრა მეგობრებთან

მოსკოვში მეგობრობის სახლში გაიმართა გულთბილი შეხვედრა. საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრებმა აქ მიიღეს თავიანთი კოლეგები — ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლები ამ საზოგადოების თავმჯდომარის ნგუენ ვან კინის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის გმირმა კოსმონავტმა მფრინავმა გ. ს. ტიტოვმა სტუმრებს გააცნო იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელსაც იგი მეთაურობს.

დელეგაციის მეთაურმა ნგუენ ვან კინმა საპასუხო სიტყვაში დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების მუშაობა.

(საკდესი).

სამძიმრის დეპეშა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ლ. შტროუგალს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ღრმა მწუხარების გრძნობით შეიტყეს საბჭოთა ადამიანებმა, რომ შახტა „დუკლაში" ბოხდა უბედური შემთხვევა, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

ღრმა თანაგრძნობას გიცხადებთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, და გთხოვთ საბჭოთა მთავრობის გულწრფელი სამძიმარი გადასცეთ დაღუპულთა ოჯახებს". (საკდესი).

ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომდინარე სესიაზე განხილვა საკითხისა „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენდნენ და იჩენენ ბუნების დაცვისათვის, მისი სიმდიდრის გამრავლებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, გენიალური მეცნიერი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რომლის დაბადების 100 წლისთავი დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ეპოქარეშია აღინიშნა წელს, შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა ბუნების — მიწების, ტყეების, მდინარეების დაცვას და ხალხის სამსახურში მათ ჩაყენებას. ლენინური დეკრეტი მიწის შესახებ, აგრეთვე 1918 წელს მიღებული „ძირითადი კანონი ტყეების შესახებ“, 1921 წელს მიღებული დადგენილება „ვეგალეასთან ბრძოლის შესახებ“, რომლითაც დასახული იყო ტყისეული ზოლების გაშენება, და სხვა მრავალი დოკუმენტი ნათელყოფენ იმ დიდ ყურადღებას ბუნების დაცვისადმი, რასაც ვ. ი. ლენინი და კომუნისტური პარტია იჩენდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ შეტად ძნელ წლებში.

საბჭოთა ხელისუფლების ამ პირველ დოკუმენტებშივე ჩაისახა დიდი სახელმწიფოებრივი მიდგომა და დასაბამი მიეცა იმ ლენინურ ბაზის ბუნების დაცვის საქმეში, რომელსაც შემდგომში განუხრელად ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ჩვენ აგრეთვე პირველებმა სსრ კავშირში დავაარსეთ ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების მეგობარი“, სადაც ამჟამად გაერთიანებულია 1 მილიონ 300 ათასი წევრი. საქართველოს კპ ცკ-მა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პირველებმა მიიღეს დადგენილებები 1961 წლის 17 ივლისს — სახელმწიფო და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ, 1965 წლის 16 თებერვალს — ფერდობებზე ტერასების მოწყობის შესახებ, აკრძალულ იქნა საახალწლო „ნაძვის ხედ“ წიწვიანი ხეების მოჭრა, რაც დიდ ზიანს აყენებდა ტყეებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბუნების დაცვის კანონის შესასრულებლად დაამტკიცა წესები და ნორმები, რომელთა შესაბამისად ხდება მეცნარეული რესურსების, გარეული ცხოველების და ფრინველის, თევზისა და სხვათა გამოყენება; დაამტკიცა სათანადო დებულება და სია ბუნების იმ ძეგლებისა და ობიექტებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან; მოეწყო სახელმწიფო ნაკრძალები, სამონადირეო მეურნეობები, ბოტანიკური ბაღები და მიწერილი მეურნეობები. დაწესდა ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთათვის სისხლის სამართლის პასუხისგებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვისამ 1966 წლის ივნისში მოიხმინა ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობა და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამ ფართო გამოხმაურება და დიდი მხარდაჭერა ჰპოვა მთელ ჩვენს საზოგადოებრიობაში, სამეურნეო, სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებითს კოლექტივებში, მოსახლეობის ფართო მასებში.

ბუნების დაცვისა და მისი რესურსების მიზანშეწონილად გამოყენების საკითხები ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ადრე. ბუნების ბევრ ძალებს ეს ამოცანა ეკისრებოდა ჯერ ჯერობით — წყალთა, ბუნით, ნიფლით და სხვ., რომლებსაც უადგილად დიდი ნიადაგდაცვითი და წყალშემანახველი მნიშვნელობა აქვთ მთელი ამ მხარისათვის. ასეთ პირობებში, ტყიანეულ ქანახშირის ტრესტი გამომშავებული შახტის ამოვნებისათვის ტყეს პირწყინდად ჭრის, შემდეგ ნიადაგის ზედაპირს აფეთქებენ და ბიდრომონიტორების საშუალებით — წყლის ჭავლის გამოყენებით რეცხავს ნიადაგს დედაქანებამდე, გაჩეხილია ტყეს ოფლიანად ტანზე ადგებიან ნაგავ-ნაგავ-ნაგავ-

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენებების დასასრული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომა

დეპუტატ მ. ნ. საგაკოვილის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ბუნების დაცვის იმ ღონისძიებათა შორის, რომლებზეც დღეს ამხანაგ ზ. გელდიაშვილის მოხსენებაში იყო ლაპარაკი და რომლებიც უნდა უზრუნველყონ ჩვენი მიწების რაციონალური გამოყენება, ნაყოფიერების გადიდება და მათზე გაშენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების უნდა მოსავლიანობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა. ამიტომ მინდა მასზე ერთხელ კიდევ გავამახვილო თქვენი ყურადღება.

როგორც მოგეხსენებათ, 1967 წლის აპრილში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ჭარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადადგმელ ღონისძიებათა შესახებ", ხოლო 1967 წლის ივნისში ამავე საკითხზე მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

არსებული მონაცემების მიხედვით, სახნავ-სათესი ფართობი ჩვენს რესპუბლიკაში უფრო და უფრო მცირდება და ერთ სულ მოსახლეზე 5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში.

საქართველოს გორაკ-ბორცვიან და მთა-ტყის ზონაში ყველაზე მეტი განვითარება აქვს ნიადაგების ზედაპირულსა და სიღრმით წყლისმიერ ეროზიას, რასაც იწვევს უმეტეს ნაწილში ზედაპირის ძლიერი დასერილობა, ფერდობების დიდი დახრილობა, მათზე ნიადაგის დამუშავებისა და ტყის კაფვის არასწორი სისტემა, აგრეთვე თალსმა წყიმების მოქმედება.

ასე, მაგალითად, არსებული მონაცემების მიხედვით ახალციხის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25% განიდგის საშუალო და ძლიერ წყლისმიერ ეროზიას.

ადიგენის რაიონშიც სახნავ-სათესად ვარგისი მიწების ფართობი 1970 წლის 1 იანვრისათვის იყო 4189 ჰექტარი, მაშინ როდესაც 1960 წელს იგი შეადგენდა 5200 ჰექტარს. მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი, უძლიერესად ჩამორეცხილი ფართობები აქაც არ არის ერთად თავმოყრილი და გვხვდება რაიონის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

ორჯონიკიძის რაიონშიც ძლიერი ეროზიის შედეგად მწყობრიდან გამოდის სახნავ-სათესი ფართობები, რასაც იწვევს დიდი დახრილობის ფერდობებზე სათოხნი კულტურების თესვა-მოყვანა.

სამტრედიის რაიონშიც ეროზიული პროცესების შედეგად სახნავ-სათესი ფართობები შემცირდა 443 ჰექტარით.

ზემოთ აღნიშნულის გამო ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები ბევრგან გვხვდება აფხაზეთში, განსაკუთრებით იქ, სადაც ადრე თამბაქოს პლანტაციები იყო. ფერდობის დახრილობის გამო ნალვარი განლაგებული რიგებით, ამავე მიზეზებით ძლიერ გადარეცხილი ფერდობები მრავალგან გვხვდება აჭარაში, ნიგოითის ქედზე, ოკრიბის ქედებუფაში, ზემო იმერეთის მთისწინეთში და ფთიან ზონაში, რაჭა-ლეჩხუმში, აღმოსავლეთ საქართველოს ისეთსავე ზონებში, ტყრეთ, ატენის ხეობაში, მდინარე ვერეს ხეობაში და დავითის მთის ფერდობზე ქალაქ თბილისის თავზე, სამგორის ველზე, გარეჯის მთებზე, კალადარას, ყობოლის და სხვათა ფერდობებზე, ელდარის ველის თავზე („ალესიანები") და სხვ.

ზედაპირული წყლისმიერი ეროზიის შედეგად ნიადაგი დიდი რაოდენობით კარგავს ყველაზე ნოყიერ ზედაპირულ ფენებს, ორგანულ ნივთიერებას (ჰუმუსს) და მცენარისათვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს. არსებული მონაცემების მიხედვით, ჩამორეცხვის შედეგად ნიადაგის დანაკარგი ერთი ჰექტარი ფართობიდან ყოველწლიურად 100-150 და მეტ ტონას აღწევს. დადგენილია ისიც, რომ იქ, სადაც ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებია ჩატარებული, ჩამორეცხვისაგან ეს დანაკარგი 10-ჯერ-30-ჯერ ნაკლებია.

ჩამორეცხილი ნიადაგების დიდი ფართობები ახასიათებს აგრეთვე მთა-ტყის ზონას. როგორც უკვე აღინიშნა, ამის მიზეზია ზედაპირის ძლიერი დასერილობა, ფერდობების დიდი დახრილობა, თავსხმა წვიმები და ტყის არასწორი კაფვა. ამის გამო მთა-ტყის ზონაში ფერდობები ხშირად ძლიერ ან მთლიანად გადარეცხილია და დასერილი, როგორც, მაგალითად, თელეთის ქედზე, ბორჯომის, ატენის, აჭარის-წყლის და სხვა ხეობების მთელ რიგ ადგილებში. აღნიშნულის თავიდან აცილებლად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყის კაფვის რეგულირებას, ხეობების ზედ წელის და ნაპირების გამაგრებას ბუჩქნარით და ხელოვნური გატყიანებით, დატერასებით და სხვ.

ცეცხლი ფერდობების ათვისებისა და მათზე ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ტერასების გაშენებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ფერდობების დატერასების შესანიშნავი გამოცდილება წარსულ საუკუნეებში სამხრეთ საქართველოში — მესხეთში.

წყლისმიერ ეროზიასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ სამგორის ველზე, გარე კახეთში, მირაქში და სხვ., ძლიერ განვითარებულია ჭარისმიერი ეროზიაც. არსებული მონაცემების მიხედვით, ქარების შედეგადენილი ერთი ჰექტარი ფართობიდან იკარგება ნიადაგის ზედა, ყველაზე ნოყიერი ფენა და ამის შედეგად, მაგალითად, სამგორის ველზე, მოსწული ნაკვეთებიდან ზოგან თითქმის მთლიანად ქარის მიერ წაღებულია (გამოჭარულია) ბამბიწა და სხვა ნიადაგები.

ქარისმიერ ეროზიასთან ბრძოლის საქმეში ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ქარსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, მორწყვის ჩატარებას, ჯვარედინად თესვას და თესლის ღრმად ჩაგეთვას.

ზოგან აღმოსავლეთ საქართველოს ველიან და ტაეფ-ველიან რაიონებში, როგორც, მაგალითად, სამგორის ველზე, ალაზნის ვაკეზე, შიდა ქართლის ბარში და სხვ., საკმაოდ ძლიერად არის გამოსახული ირიგაციული ეროზიაც, რის შედეგადაც ალაგ-ალაგ ძლიერ გადარეცხილია სარწყავი არხების და ბუნებრივი ღელეების ნაპირები, სარწყავი ფართობის ზედაპირი და სხვ., რაც დიდად ამცირებს ამ ფართობების საწარმოო ღირებულებას და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების შესაძლებლობას.

ამიტომ, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მორწყვის წესს და სარწყავი მიწების მოვლის კულტურის დონეს. რა თქმა უნდა, ყველაზე დადებითია მორწყვის ჩატარება ხელოვნური დაწვიმების წესით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა და მას დიდი ყურადღება ექცევა. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია თქვას, რომ მიმდინარე წლის 14 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური ბრძანებულება მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საკითხი ყოველთვის იყო და არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ 1968 წელს ჩვენმა კომისიამ ბუნების დაცვის კომისიასთან ერთად შეისწავლა ნიადაგის ეროზიის მდგომარეობა ახმეტის, გორის, ჯავის, ქედის და გუდაუთის რაიონებში. გამოირკვა, რომ ადგილობრივი საბჭოები, საბჭოთა და სატყეო მეურნეობები, კოლმეურნეობები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საქმეს და სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ. მაგრამ გამოირკვა, რომ, როგორც შემოწმებულ, ისე რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად კოლმეურნეობები ან საკუთარ საშუალებებს. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შედეგნილი არა აქვთ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ერთიანი გეგმა. მიმდინარე წლის აპრილში სოფლის მეურნეობის უოდმიჭა კომისიამ შეიამოწმა ქობულეთის, მახარაძის, სამტრედიის, ორჯონიკიძის, ხაშურის, ახალციხის, ადიგენის, კასპის, ფულეთისა და გურჯაანის რაიონებში ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ დასახელებული რაიონების უმეტეს ნაწილში გაწეულია გარკვეული მუშაობა ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის საქმეში.

ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონში წყლისმიერი ეროზიის თავიდან ასაცილებლად ფერდობზე გასაკეთებელ კოლმეურნეობებში (სოფლები ლეგვა, ბობოყვათი, კვირიკე, ხუცუბანი, აჭყა, ჩაიუბანი და სხვ.) გაყვანილია წყალშემკრები კვლები, გაშენებულია ქარსაფარი ტყის ზოლები.

ახალციხის, ადიგენის, ხაშურის რაიონებში ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი: ნიადაგის დამუშავება ფერდობის დახრილობის საწინააღმდეგო მიმართულებით, მრავალწლიანი ბალახების თესვა, შინდრსაცავი ტყის ზოლების გაშენება, წყალდამჭერი კვლების გაყვანა, ჩამორეცხილ ფერდობებზე ტყეების გაშენება და სხვ.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, რაც გაკეთდა ამ მიმართულებით საკმარისი არ არის და ჯერ მეურნეობებს ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა. ხაშურის, აგრეთვე კასპის და ზოგიერთ სხვა რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა ძლიერ დახრილი ფერდობების დატერასებას.

მოგვარებული არ არის ჩამორეცხილ ფერდობებზე მრავალწლიანი ბალახების თესვა საჭირო თესლის უქონლობის გამო. ამ მიზეზით მრავალწლიანი ბალახები არ ითესება მახარაძის, სამტრედიის, კასპის, ფულეთის, გურჯაანის და სხვა რაიონებში. ამ მხრივ უფრო ხელსაყრელი მდგომარეობაა ახალციხის რაიონში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მახარაძის, სამტრედიის, ფულეთის, ახალციხის, კასპის და სხვა რაიონებში დატერასებას ხელს უშლის კოლმეურნეობებში სათანადო იარაღ-მანქანების უქონლობა.

საყურადღებოა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმეტეს ნაწილს საწარმოო-საფინანსო გეგმებში შეტანილი არა აქვს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. კომისიამ საკითხის განხილვის შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მწარმოელთა დეპუტატების საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცა სათანადო რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას.

მიუხედავად ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საქმეში განხორციელებული ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა, ეროზიით გამოწვეული ზარალი თითქმის ყველგან ძალიან დიდია, მის შედეგად უარესდება და, როგორც ზემოთაც დავინახეთ, მცირდება სახნავი მიწების ფართობები, მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

არსებული მდგომარეობა და ზემდგომი ორგანიზაციის დასასრულებელი დადგენილებანი კატეგორიულად გვავალებენ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დასახულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელებას.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ისე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში საკუთრივ სამართლიანად არის აღნიშნული რომ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის სრული მონაცემები ჩამორეცხილი ნიადაგების ფართობების შესახებ და რომ ცუდად არის ორგანიზებული სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობა ეროზიის წინააღმდეგ ნიადაგების ნაყოფიერების გასაადიდებლად ეფექტური ზომების დადგენისათვის.

ამიტომ გასაგებია, რომ პირველი რიგში საჭიროა მიკრორაიონებში, ყოველ კოლმეურნეობაში ეროზიით დაზიანებული ფართობებისა და მისი გამომწვევი მიზეზების ზუსტი აღრიცხვა და, ამის შესაბამისად, ეროზიისა და ჩამორეცხილი ნიადაგების გადიდების საწინააღმდეგო დიფერენცირებულ ღონისძიებათა შემუშავება და გატარება. ამ მხრივ უკვე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა და ამჟამად მიმდინარეობს მსხვილმასშტაბიანი ნიადაგ-ეროზიული რუკების შედგენა და ეროზიადაზიანებული ფართობებიდან თბილ და ცივ ადგილებში ეროზიის მიზეზების, სახეობის, ხარისხისა და მასთან ბრძოლის დიფერენციერებული ღონისძიებების ზუსტი ჩვენებით.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახნავი ფართობების დაცვის, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის და ეროზიებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენისა და გამოყენების გეგმების შედგენას. ეს ღონისძიებები გათვალისწინებულ უნდა იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

3. კატეგორიულად აიკრძალოს ნიადაგის ყოველგვარი დამუშავება, გარდა ტყის სამელიორაციო ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოებისა, 25 გრადუსზე მეტი დახრილობის ფერდობებზე.

4. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ფერდობების ათვისებისას აუცილებლად იქნას ენობილი ბალახების ზოლურად თესვა, ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების შექმნა, წყალდამჭერი და წყალგამყვანი კვლების (არხების) მოწყობა.

